საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 199/ს
15/07/2022

199-21-4-202207151703

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონული ნაგავსაყრელის (არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის) მოწყობა-ექსპლუატაცაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის I დანართის მე-17 პუნქტის, ასევე II დანართის 6.3 და 10.6 ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონული ნაგავსაყრელის (არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის) მოწყობა-ექსპლუატაცაზე სკოპინგის დასკვნა N37;
2. შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N37 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიას“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო